

შპს „ნიუ ვიქენ“

(ს/ნ 400111614)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება:

ზოგადი ინფორმაცია -	2
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი -	3
არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა -	3
ძირითადი საშუალებები -	5
სასაქონლო მატერიალური ფასეულებები -	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -	6
სავაჭრო ვალდებულებები -	7
კაპიტალის მართვა -	7
იჯარა -	8

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნიუ ვიჟენ“, დაფუძნდა 2014 წლის 13 თებერვალს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 400111614. მერეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის იურიდიული მისამართი: , ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის I მ/რ, კორ. 16, ბ. 88.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები:

როსტომ შავაძე	(პ/ნ 01001068093)	- წილი 50%
შმაგი შავაძე	(პ/ნ 38001042827)	- წილი 50%

შპს „ნიუ ვიჟენ“-ის ძირითად საქმიანობა წარმოადგებს სამშენებლო ტექნიკის იჯარა, მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება სამშენებლო მოედანზე, შენობის დაშლა და აღება, სამშენებლო მასალების (ღორღი, ბალასტი, ქვიშა) მიწოდება და გატანა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში მსს ფასს-ის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ სტანდარტის გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

საანგარიშგებო ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი „ლარი“, რაც ქარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკში არსებული შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

შემოსავლების აღიარება :

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან/მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და მყიდველს მასზე საკუთრების უფლება წარმოეშობა. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან/და მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

ხარჯების აღიარება:

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

4. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულებების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა:

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენიდან და ექსპლუატაციის მომენტიდან ან წარმოებული (აშენებული) აქტივის შემთხვევაში იმ მომენტიდან როცა უკვე აქტივის მზად არის გამოსაყენებლად.

კომპანია არ განიხილავს ცვეთის მეთოდებსა და კოეფიციენტის ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია. როდესაც ხდება ქონების ჩამოწერი ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსურ ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

5. სასაქონლო - მატერიალური ფასეულებები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულებები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლის და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, ამიტომ მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგები პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

8. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

9. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს დამფუძნებლისთვის მოგების მიცემა.

დივიდენდი:

საზოგადოების შესაძლებლობა გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში, თუ შემდეგ მეიჯარემ და მოიჯარემ გადაწყვიტენ საიჯარო პირობების შეცვლას აუცილებელის იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა

11. უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღასათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შპს „ნოუ ვიქენ“

დირექტორი:

h. 23rd

როსტომ შავაძე

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები
მარაგები
შპს პროდუქცია
სხვა
საინვესტიციო ქონება
სხვა მოკლევადიანი აქტივები
ბიოლოგიური აქტივები
თვითღირებულების მოდელით
გადაფასების მოდელით
გუდვილი
სხვა არამატერიალური აქტივები
ძირითადი საშუალებები
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში
სხვა გრძელვადიანი აქტივები
სულ აქტივები

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება
სავაჭრო ვალდებულებები
ანარიცხები
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ
საგადასახადო ვალდებულებები
გამომუშავებული შემოსავალი
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები
მიღებული გრანტები
სხვა ვალდებულებები
სულ ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')
საემისიო შემოსავალი
გამოსყიდული საკუთარი აქციები
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)
გადაფასების რეზერვი
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები
სულ საკუთარი კაპიტალი
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
სულ მოკლევადიანი აქტივები
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები

31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
1952539	851125	208000
6244326	4600769	368052
0	0	0
573731	23630	41957
0	0	0
573731	23630	41957
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
16896804	14243476	6476000
0	0	0
0	0	0
0	0	0
25667400	19719000	7094009
0	0	0
2650756	2146000	822000
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
6749000	11559000	4882000
0	0	0
0	0	0
9399756	13705000	5704000
1874000	2540000	604609
0	0	0
0	0	0
14393644	3474000	785400
0	0	0
0	0	0
16267644	6014000	1390009
25667400	19719000	7094009
1	1	1
0	0	0
0	0	0

h. შიშინაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან

მომსახურების გაწევიდან

სამშენებლო ხელშეკრულებებიდან

სხვა

გაყიდვების თვითღირებულება

საწყისი მარაგები

მარაგების შესყიდვა

გადაშვების დანახარჯები

საბოლოო მარაგები

საერთო მოგება

სხვა საოპერაციო შემოსავალი

დასაქმებულთა ანაზღაურება

ცვლა / ამორტიზაციის ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ხარჯი

იჯარის ხარჯი

აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

სულ საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო მოგება

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

მიღებული დივიდენდები

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან

მოგების გადასახადის ხარჯი

საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამა)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')

განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

კაპიტალის სხვა ცვლილებები

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

კვლევისა და განვითარების ხარჯები

31/12/2024	31/12/2023
18540097	14785000
7040010	5031000
11500087	9754000
0	0
0	0
-4158533	-4493788
0	0
0	0
0	0
0	0
14381564	10291212
0	0
-2920525	-2584853
-128130	-430487
0	0
-534265	-250068
0	0
0	-1457110
-3582920	-4722518
10798644	5568694
0	0
0	0
0	0
0	0
0	0
0	0
10798644	5568694
0	-141703
10798644	5426991
0	0
0	0
0	0
10798644	5426991
6014000	1390009
0	0
-545000	-803000
0	0
0	0
16267644	6014000
0	0

h. L. Z. P.

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
 საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
 ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)
 ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

31/12/2024	31/12/2023
1101414	643125
0	0
0	0
1101414	643125
0	0
851125	208000
1952539	851125

h. ჯიშყა